ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10935/01
07/11/2019

10935-01-2-201911070916

შპს „ქვიშა ბათუმის“ დირექტორს
ბატონ **მეჰმედ ქუთანოღლის**

მის: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N 94, ბ. 39

ბატონო მეჰმედ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 29 ოქტომბრის №15449 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის № 3-ში, ე.წ სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულ საქმიანობაზე თქვენს მიერ 2019 წლის 1 ოქტომბრის №13903 წერილით წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე, რომელიც შეიცავდა გარკვეული სახის ხარვეზებს, გეცნობათ სამინისტროს 2019 წლის 11 ოქტომბრის N10080/01 წერილით.

გაცნობებთ რომ თქვენს მიერ განმეორებით წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემები არასწორია და ვერ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება. ამასთან, წარმოდგენილი GPS კოორდინატების მიხედვით იდენტიფიცირებული და სკრინინგის განცხადებაში განხილული ინფორმაცია უახლოესი დასახლებული პუნქტის შესახებ არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის შემოტანის შესახებ ინფორმაცია (სატრანსპორტო საშუალებების, მარშრუტების მითითებით);
- სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სამრეწველო ზონის გათვალისწინებით, კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები (მიმდებარე ობიექტების შესახებ ინფორმაცია);

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო შპს „ქვიშა ბათუმის“ მიერ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განმეორებით წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტრო აღნიშნულ საქმიანობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ქვიშა ბათუმი“ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას.

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე